




საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
 MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ
 ლიცენზიებისა და ნებართვების
 დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ცხელია
 (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)



ეკოლოგიური ექსპერტიზის
 დასკვნა პროექტზე

№ 9

31 იანვარი 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – რიონის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.16
3. განხორციელების ადგილი – ქ. ქუთაისი, რიონჰესის დასახლება
4. განაცხადის შემოსულის თარიღი – 10.01.08.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ– სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. თბილისი, მ. აღექსიძის ქ. № 9

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ს/ს „ენერგო-პროჯორჯია“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „რიონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ქ. ქუთაისში.

ჰესის სათავე ნაგებობა მდებარეობს მდ. რიონზე ქ. ქუთაისის შესასვლელში, ძალოვანი კვანძი კი რიონის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ. ჰესის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 798 155 მ². მოხმარებული წყლის ხარჯი შეადგენს 220752000 მ³/წ, სასმელი წყლის ხარჯი – 803 მ³/წ. ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 1934 წელს.

რიონჰესი სადერივაციო ტიპის სადგურია, რომლის კომპლექსში შედის: ჰიდროტექნიკური ნაგებობები (რკინაბეტონის კაშხალი, წყალსაცავი, სადერივაციო სისტემა, სადღელამისო მარეგულირებელი აუზი, უქმი წყლის გადამღვრელი არხი, სადაწნეო აუზი, სადაწნეო მილსადენები და გამოყენებული წყლის გამყვანი არხი), ძალოვანი კვანძი (საგენერატორო შენობითა და 11-35-ნ კვტ-იანი ქვესადგურით) და ზეთის საცავი.

ჰესის საერთო სიმძლავრეს (48 მგვტ) უზრუნველყოფს 12 მგვტ სიმძლავრის 4 აგრეგატი, რომელთაგან ძირითადად ფუნქციონირებს სამი, ხოლო 1 სარეზერვოა.

ავარიულ სიტუაციებში კაშხლის ექსპლუატაციისთვის საჭირო დანადგარების მომსახურების მიზნით, ტერიტორიაზე მდებარე კაპიტალურ შენობაში დამონტაჟებულია 120 კვტ სიმძლავრის დიზელ-გენერატორი. დიზელ-გენერატორის შენობა უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 200-220 მეტრით.

გზშ ანგარიშში განხილულია ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ძალოვანი კვანძების არსებული მდგომარეობა. ეკოლოგიური თვალსაზრისით ჰიდროტექნიკური ნაგებობებზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან კაშხლის მდგრადობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მნიშვნელოვანია წყალსაცავის ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, მიმდებარე ტერიტორიის დაჭაობებული ფართობების აღდგენის მიზნით სადერივაციო არხის ფილტრაციული უბნების კაპიტალური შეკეთება, დერივაციული გვირაბის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, სადერივაციო არხის ნაპირების გაწმენდა მცენარეულობისა (რომლის დროსაც მოსაჭრელი იქნება 450 ძირამდე თხმელის ხე) და სადღელამისო რეგულირების აუზის გაწმენდა ნარჩენებისაგან, საიდანაც გასატანია 300 000 მ³ მოცულობის შლამი, ჩამკეტი და გამრეცხი რაბების რეაბილიტაცია, ჩამქრობი ჭის გაწმენდა და კაშხალის მონიტორინგის სისტემას განახლება.

ჰესის ძალოვანი კვანძების რეაბილიტაციისას გათვალისწინებული სამუშაოებიდან მნიშვნელოვანია ტერიტორიის გასუფთავება ლითონის ჯართისაგან, წყალმომარაგების სათაო ნაგებობაზე საქლორატორო დანადგარის მოწყობა, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების

კომპაქტური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ქვესადგურის და ზეთის საცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და ნაფთობდამჭერი დანადგარის მოწყობა, ქვესადგურის ტერიტორიაზე ზეთით დაბინძურებული ადგილების გაწმენდა (სულ 37მ²). ქვესადგურის ტერიტორიიდან, ღორღის ფენაში ზეთით დაბინძურების სიღრმის გათვალისწინებით ქვესადგურის ტერიტორიიდან გასატანი დაბინძურებული გრუნტის მოცულობა შეადგენს 14,8 მ³. გზშ ანგარიშში არ არის გადაწყვეტილი დაბინძურებული გრუნტის გატანასა და განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები.

საწარმოო ნარჩენებიდან მნიშვნელოვანია ნამუშევარი ტურბინას ზეთი და სატრანსფორმატორო ზეთის გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული მასა. გასათვალისწინებელია, რომ რიონჰესის ზეთის საწმენდ დანადგარზე ხდება გუმათის ჰესების კასაკადზე ნახმარი ზეთების გაწმენდა.

ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებასთან, მდ. რიონის ჰიდროლოგიასა და კალაპოტის დინამიკასთან, აგრეთვე იქთიოფაუნაზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან. გზშ ანგარიშში მოცემულია გარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების მოსალოდნელი ცვლილებები, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის, ისე ჰესის ფუნქციონირების პერიოდში.

იმის გათვალისწინებით, რომ ჰესის ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე ზემოქმედება განხორციელებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში და აქედან გამომდინარე ადაპტაციის პროცესი დიდი ხნის დასრულებულია, ჰესის ფუნქციონირებისა და დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შედეგად გარემოს არსებული მდგომარეობა პრაქტიკულად არ შეიცვლება.

ჰესის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისა და ექსპლუატაციის დროს გარემოსა და სოციალურ სფეროზე მინიმალური ზეგავლენის უზრუნველყოფის მიზნით ეკოლოგიური ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წუნამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინოს დასკვნის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გეგმა-გრაფიკი (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და შეთანხმების გათვალისწინებით);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს:
 - რიონის წყალსაცავის აკვატორიაში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, საშიში გეოდინამიკური პროცესების აღკვეთის მიზნით საინჟინრო ღონისძიებების პროექტის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება არსებული მდგომარეობის სტაბილიზაცია-ლიკვიდაცია და პერმანენტულად განსახორციელებელი სამუშაოების შემადგენლობა და პერიოდულობა;
 - ქვესადგურისა და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟე სისტემისა და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა;
 - სასმელი წყლის საქლორატოროსა და კომპაქტური გამწმენდი ნაგებობების მოწყობა;
 - სადერივაციო არხის მარცხენა სანაპიროზე ფილტრაციის შედეგად დაჭაობებულ ფართობებზე საინჟინრო-სამელიორაციო ღონისძიებების დამუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ენდემური მუხის ხეების დარგვისა და გახარების სამუშაოები.
 - ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე ხანძარქრობის ავტომატიზირებული სისტემის მოწყობა;
 - მდინარის წყალმცირობის პერიოდში სანიტარული ხარჯის გატარება კაშხლის ქვემო ბიეფში არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-სა;
3. ჰესის ადმინისტრაციამ გაითვალისწინოს დერივაციის უბანზე არსებული სხვა წყალმომხმარებლების მიერ წარმოდგენილი გრაფიკის დაკმაყოფილება;
4. რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენები (ნამუშევარი ზეთი, ზეთით დაბინძურებული გრუნტი, და ა.შ.) შეგროვდეს რკინის დახურულ კასრებში, რომელთა გადამუშავება განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
5. განხილული იქნას დასაშლელ კაშხალთან თევზსავალის მოწყობის შესაძლებლობა;
6. ჰესების ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების გაზრდისთვის აუცილებელია სათავე ნაგებობის ზემო ბიეფში, წყალსაცავის გავლენის ზონის გარეთ, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრთან შეთანხმებით მოეწყოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი წყლის ღონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამზომი საგუშაგო, ხოლო უშუალოდ სათავე ნაგებობებზე, სანიტარული ხარჯის აღრიცხვის მიზნით, განხორციელდეს წყალსაშვი ნაგებობების ტარირება;
7. წყალსაცავებიდან წყალდიდობების წყლის ხარჯების გატარების ან ავარიული გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარდეს სათავე ნაგებობები ქვემო ბიეფის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებების და გამაფრთხილებელი სისტემის დასახვა-განხორციელება;

IV. დასკვნა

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „რიონის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
კომისიის თავმჯდომარე



მალხაზ მიმინაშვილი
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)